საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 214
27/09/2022

214-2-4-202209271747

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი #2/2) შემოტანილ პროექტთა განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ - ,,საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვული ცენტრის" საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს #3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ვბრძანებ:

1.2022 წლის 27 სექტემბერს შეიქმნას 2022 წლის 14 მარტის #44 ბრძანებით გამოცხადებული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი #2/2) შემოტანილ პროექტთა განმხილველი საექსპერტო კომისია 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით:

1. ირაკლი ფანიაშვილი (რეჟისორი);
2. მაია ლევანიძე (კინომცოდნე);
3. სოფიო ბაბლუანი (რეჟისორი, სცენარისტი);
4. ილია ღლონტი (რეჟისორი);
5. ედმონდ მინაშვილი (მსახიობი, პროდიუსერი);

2. გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

3. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვული ცენტრის IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანების განთავსება კინოცენტრის ვებ-გვერდზე.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. Dდ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

კარლო (კახა) სიხარულიძე

დირექტორი